ტრენდმოცილებული ფლუქტუაციების ანალიზი ეყრდნობა ბ. მანდელბროტის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თუ ობიექტი (აქ - დროითი სერია) თავის თავის მსგავსია, მაშინ განხილვის მასშტაბის შეცვლით, ანუ გადამასშტაბირებით უნდა მივიღოთ სტატისტიკურად მისივე მსგავსი ობიექტი. ეს მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც აღნიშნული გადამასშტაბირებით შეიძლება გამოთვლილი იქნას ობიექტის მახასიათებელი მნიშვნელოვანი ინვარიანტი - მასშტაბირების ექსპონენტი [26, 42, 43].

ამ მოსაზრების თანახმად თვითმსგავსი, სტაციონარული დროითი სერია, რომელიც ხასიათდება გრძელვადიანი კორელაციებით, შეიძლება გადამასშტაბირდეს, აიჯამოს (ე.ი. გამსხვილდეს დროითი მასშტაბი), რაც ასევე მასშტაბურად ინვარიანტულ თვითმსგავს მიმდევრობას მოგვცემს. ამგვარი გადამასშტაბირების რამდენჯერმე განმეორება საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ მასშტაბური ინვარიანტობის ზომა, რაც რაოდენობრივ წარმოდგენას შეგვიქმნის ორიგინალური დროით სერიაში გრძელვადიანი კორელაციების შესახებ.

ანალიზის პროცესში პირველ რიგში ხდება მოცემული N სიგრძის $x_i(t)$ დროითი სერიის ინტეგრირება:

$$y(k) = \sum_{i=1}^k [x_i(t) - \bar{x}(t)]. \quad (1.12)$$

ამის შემდეგ აჯამებული დროითი სერია დაიყოფა თანაბარი n -სიგრძის უბნებად ანუ ბოქსებად. ყოველი ბოქსისთვის უმცირეს კვადრატთა მეთოდით გამოითვლება ლოკალური ტრენდი. ცალკეული ბოქსისათვის ტრენდის y კოორდინატა აღინიშნება $y_n(k)$ -თი. ამის შემდეგ ხდება ტრენდის მოცილება აჯამებული დროითი სერიიდან $y(k)$, ლოკალური ტრენდის $y_n(k)$ გამოკლებით. მიღებული

ინტეგრირებული და ტრენდმოცილებული დროითი სერიის ყოველი n სიგრძის ბოქსისათვის გამოითვლება ფლუქტუაციის მახასიათებელი სიდიდე:

$$F(n) = \sqrt{\frac{1}{N} \sum_{k=1}^N [y(k) - y_n(k)]^2} \quad (1.13)$$

ამის შემდეგ აგებენ (1. 13) სიდიდის ბოქსის სიგრძეზე დამოკიდებულების გრაფიკს. ორმაგ ლოგარიტმულ სკალაზე წრფივი დამოკიდებულების არსებობა მიუთითებს განსახილავ მასივში თვითმსგავსების, მასშტაბური ინვარიანტობის არსებობაზე. სხვანაირად, ფლუქტუაციები მცირე ზომის ბოქსებში დაკავშირებული არიან ფლუქტუაციებთან დიდი ზომის ბოქსებში ხარისხობრივი ფუნქციით. $\log F(n) - \log n$ დამოკიდებულების დახრის კუთხე განსაზღვრავს მასშტაბური ინვარიანტობის ექსპონენტას - α .

დროითი სერიისათვის, სადაც ცალკეული მონაცემები ერთმანეთთან სრულიად არაკორელირებულია, მაგ., თეთრი ხმაურის შემთხვევაში $\alpha = 0.5$.

პერსისტენტულ გრძელვადიან კორელაციებს შეესაბამება $0.5 < \alpha < 1$, ხოლო ანტიპერსისტენტულს $0 < \alpha < 0.5$. $\alpha = 1$ შეესაბამება $1/f$ ტიპის ხმაურს. როცა $\alpha > 1$ მონაცემთა მასივში კორელაციები კვლავ არსებობენ, მაგრამ აღარ აღიწერებიან ხარისხობრივი დამოკიდებულებით. $\alpha \geq 1.5$ მიუთითებს მონაცემთა მასივში რუხი ხმაურის არსებობაზე, რომელიც წარმოადგენს თეთრი ხმაურის ინტეგრირების შედეგს. აქვე დავამატებთ, რომ ისევე, როგორც ეს უკვე ითქვა ჰარსტის მაჩვენებლისათვის, α ექსპონენტაც შეიძლება განვიხილოთ, როგორც მონაცემთა მასივის ხაოიანობის მაჩვენებელი, დროითი სერიის სიგლუვე კი დეტერმინიზმის ნიშანია.

თავი II

დროითი სერიების ანალიზის არაწრფივი მეთოდები

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე მაღალგანზომილებიანი სისტემების მასშტაბური ინვარიანტობისა და დინამიკური სტრუქტურის კვლევის მიზნით გამოვიყენეთ მონაცემთა ანალიზის ზოგიერთი თანამედროვე არაწრფივი მეთოდები: მაგ. მცდარი უახლოესი მეზობლების ანალიზის, ლიაპუნოვის ექსპონენტის გამოთვლის, შენონის ენტროპიის, კორელაციური, განმასხვავებელი არაწრფივი სტატისტიკის და რეკურენტული რაოდენობრივი ანალიზის მეთოდები.

ზოგადად ჩვენს მიერ განხილული დროითი სერიები მონაცემთა სკალარულ მასივებს წარმოადგენენ. ამიტომ საუბარს დავიწყებთ შესასწავლი პროცესის დინამიკის რეკონსტრუქციის ე.წ. ჩაშენებისა და დროითი შეყვანების მეთოდებით [24, 44, 45, 48].

2.1 ფაზურ სივრცის რეკონსტრუქცია შეყვანების მეთოდით

შეყვანების მეთოდი იმაში მდგომარეობს, რომ ანათვლების დროში სიახლოვით განპირობებული დამახინჯების თავიდან აცილების მიზნით ფაზური პორტრეტის აგებისათვის გამოიყენებენ არა ყოველ მომდევნო ან ერთმანეთთან სიშორის გამო დაუკავშირებელ, არამედ ე.წ. შეყვანების T დროით დაშორებულ მონაცემებს. T ისე უნდა შეირჩეს, რომ საკმარისად დიდი იყოს, რათა გამოირიცხოს ანათვლების დროში სიახლოვით გამოწვეული ურთიერთდამოკიდებულების ილუზია. ამავე დროს იგი არც იმდენად დიდი უნდა იყოს, რომ ცალკეული ანათვლები ერთმანეთისაგან სტატისტიკურად სრულიად დამოუკიდებელნი გახდნენ. თუ ეს პირობა დაკმაყოფილდა, დროითი სერიის მონაცემების საფუძველზე რაიმე d -განზომილებიან სივრცეში აიგება d განზომილების მქონე ვექტორები:

$$\vec{X}(i) = [x(i), x(i+T), x(i+2T), \dots, x(n+(d-1)T)], \quad (2.1)$$

რომლებიც შემოწერენ ტოპოლოგიურად ორიგინალური პროცესის ატრაქტორის ეკვივალენტურ ფაზურ პორტრეტს.

ფაზური პორტრეტის რეკონსტრუირების ხარისხი ბევრადაა დამოკიდებული T -ს შერჩევაზე. არსებობს შეყვანების T დროის შერჩევის რამდენიმე გზა. ჩვენ გამოვიყენეთ ავტოკორელაციის ფუნქციის პირველი ნულოვანი გადაკვეთის ან პირველი მინიმუმის მოძებნის ხერხი. ამისათვის გამოითვლებოდა დროითი ბიჯის τ მნიშვნელობა, რომლისთვისაც განსახილავი დროითი სერიის ავტოკორელაციის ფუნქცია პირველად გახდება ნულის ტოლი ან ნულზე ნაკლები. დროის ეს შუალედი, რომელსაც კორელირების დროსაც უწოდებენ, არის დრო (ან მანძილი მონაცემებს შორის), რომლისთვისაც მასივის განზოგადოებული საშუალო მონაცემი კორელაციაშია მომდევნო მონაცემთან [12, 24, 29, 46].

2.2 ჩაშენების სივრცის შერჩევა

Whitney-ს თეორემის თანახმად ჩაშენების, ანუ დინამიკური სტრუქტურის ფაზურ სივრცეში დაუმახინჯებლად განთავსების პირობაა $d_e \geq 2d_a + 1$, სადაც, d_e ჩაშენების სივრცის განზომილებაა, ხოლო d_a - ატრაქტორისა. ცხადია, რომ d_a ყოველთვის წინასწარ არ იქნება ცნობილი. d_e -ს ანუ ჩაშენების სივრცის განზომილების დადგენის მეთოდები სისტემის ინვარიანტების გაჯერების იდეას ეფუძნებიან. ისინი დინამიკური სისტემის ატრაქტორის ისეთ ევკლიდურ სივრცეში ჩაშენებას, გაშლას გულისხმობენ, რომ რეკონსტრუირებული ტრაექტორიებისათვის გამოთვლილი ინვარიანტები (მაგ., ლიაპუნოვის ექსპონენტები ან ფრაქტალური განზომილებები), არ იცვლებოდნენ d_e -ს გაზრდასთან ერთად. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩაშენების სივრციდან დაწყებული საძიებელი ატრაქტორის ინვარიანტული მახასიათებლები გაჯერებული უნდა იყვნენ უფრო მეტი განზომილების მქონე სივრცეებში. ამიტომ შეარჩევნ როდელიმე d_e -ს და მისთვის გამოითვლიან ატრაქტორის როდელიმე ინვარიანტს. შემდეგ d_e -ს ერთით გაზრდიან და თავიდან

გამოთვლიან ინვარიანტის მნიშვნელობას. ამ პროცესს გააგრძელებენ მანამდე, სანამ ჩაშენების სივრცის განზომილების ზრდით ინვარიანტის მნიშვნელობის ცვლილება არ შეწყდება. რაც შეეხება ჩაშენების სივრცის განზომილებას, მისი გამოთვლისას გამოიყენებენ ატრაქტორის რომელიმე ინვარიანტს ან ატრაქტორის წერტილებს შორის მანძილებზე დამოკიდებულ რომელიმე ფუნქციებს [12, 47].

ჩაშენების სივრცის განზომილების შინაარსიდან გამომდინარე მისი სწორად შერჩევისას ატრაქტორის წერტილებს შორის მანძილებზე დამოკიდებული ფუნქციები (მაგ., კორელაციური ინტეგრალის, $\log[C_q(r)]$, მანძილზე $\log(r)$,

დამოკიდებულების გრაფიკის დახრილობა: $d_a = \frac{\log[C_q(r)]}{\log(r)}$) არ უნდა იცვლებოდეს

d_e -ს ზრდის კვალობაზე. როგორც ითქვა, შესასწავლი სისტემის სწორად შერჩეულ ჩაშენების განზომილებად იღებენ d_e -ს იმ მნიშვნელობას, რომლის გაზრდის შემდეგ დახრილობა აღარ შეიცვლება.

შემთხვევითი პროცესისათვის ამგვარ გაჯერებას ადგილი არ აქვს და კორელაციური ინტეგრალის მნიშვნელობა განუწყვეტლივ იზრდება ჩაშენების განზომილების ზრდასთან ერთად. ამდენად, შემთხვევითი პროცესისათვის ჩაშენების სივრცის განზომილება უსასრულოდ დიდია.

2.3 მცდარი უახლოესი მეზობლების ანალიზი

მცდარი უახლოესი მეზობლების (false nearest neighbors – FNN) ანალიზის მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ვიპოვოთ d -განზომილების მქონე ისეთი სივრცე, რომელშიც გამორიცხული იქნება ატრაქტორის ტრაექტორიების ურთიერთგადაკვეთა დაბალი განზომილების სივრცეში ჩაშენების გამო. თუ d საკმაოდ დიდი არ იქნება, წერტილები, რომლებიც სინამდვილეში ერთმანეთისაგან

დაშორებული არიან, რეკონსტრუირებულ სივრცეში ერთმანეთთან ახლო აღმოჩნდებიან; ერთმანეთისათვის ისინი იქნებიან მცდარი უახლოესი მეზობლები.

ასეთი მეზობლობის გამოსარიცხავად უნდა დავადგინოთ, რამ განაპირობა მათი სიახლოვე, პროცესის დინამიკურმა თავისებურებამ, თუ ატრაქტორის არასაკმარისი განზომილების სივრცეში რეკონსტრუირებამ. ამისათვის უნდა გავზარდოთ ჩაშენების სივრცის განზომილება. ვთქვათ d - განზომილების რეკონსტრუირებულ სივრცეში რაიმე $\vec{y} = [s_n s_{n+T} s_{n+2T} \dots s_{n+(d-1)T}]$ ვექტორის უახლოესი მეზობელია $\vec{y}^{NN} = [s_n^{NN} s_{n+T}^{NN} \dots s_{n+(d-1)T}^{NN}]$ ვექტორი. აქ $\vec{y}^{NN}$ -ით, $\vec{y}$ ვექტორის უახლოესი მეზობელია აღნიშნული (nearest neighbour – NN). ამ ვექტორებს შორის ევკლიდური მანძილი ასე გამოითვლება:

$$R_n^2(d) = \sum_{j=1}^d (s_{n+(j-1)T}^{NN} - s_{n+(j-1)T})^2.$$
 იგულისხმება, რომ ეს საკმარისად მცირე მანძილია. $d+1$ განზომილების სივრცეში ხსენებულ ვექტორებს შორის მანძილი შემდეგი გამოსახულებით მოიცემა

$$R_n^2(d+1) = \sum_{i=1}^{d+1} (s_{n+(i-1)T}^{NN} - s_{n+(i-1)T})^2; \quad (2.2)$$


სხვაგვარად, იგი ასეც შეიძლება ჩავწეროთ:

$$R_n^2(d+1) = R_n^2(d) + (s_{n+Td}^{NN} - s_{n+Td})^2. \quad (2.3)$$

თუ $R_n(d+1)$ მეტია $R_n(d)$ -ზე, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ $\vec{y}$ და $\vec{y}^{NN}$ ვექტორები d -განზომილებიან სივრცეში მცდარი მეზობლები არიან. პრაქტიკული გამოთვლებისათვის შეარჩევნ რაიმე ზღურბლს R_T , და $\vec{y}$, $\vec{y}^{NN}$ ვექტორების მცდარ მეზობლობაზე მსჯელობენ იმ შემთხვევაში, თუ სრულდება უტოლობა:

$$\frac{|s_{n+Td}^{NN} - s_{n+Td}|}{R_n(d)} > R_T. \quad (2.4)$$

ზღურბლის მნიშვნელობას აიღებენ $10 \leq R_T \leq 50$ ფარგლებში. როგორც წესი, ითვლიან მცდარი მეზობლების პროცენტულ რაოდენობას ჩაშენების სივრცის განზომილების ცვლილების მიხედვით (ნახ. 2. 1).



ნახ. 2. 1 მცდარი უახლოესი მეზობლების პროცენტული რაოდენობის დამოკიდებულება ჩაშენების განზომილებაზე ლორენცის ატრაქტორისათვის

სკალარული დროითი სერიის საფუძველზე რთული დინამიკური პროცესის ფაზურ სივრცეში სრულყოფილად ჩასაშენებლად შეარჩევნ იმ სივრცის განზომილებას, რომლისთვისაც მცდარი მეზობლების რაოდენობა ნულამდე მცირდება. ნახ. 2. 1 –ზე ლორენცის ატრაქტორისათვის მცდარი მეზობლების რაოდენობა ნული ხდება სამგანზომილებიანი სივრცისათვის. ეს ნიშნავს იმას, რომ ლორენცის ატრაქტორისათვის ჩაშენების სივრცის განზომილება $d_e = 3$. თუ გავიხსენებთ, რომ ჩაშენების თეორემის $d_e \geq 2d_a + 1$ პირობის მიხედვით ლორენცის ატრაქტორისათვის $d_e = 5$, ცხადი გახდება, თუ რამდენად დაზოგავს გამოთვლების დროს ამ მეთოდის გამოყენება.

ზემოთთქმული შეეხება ხმაურისაგან თავისუფალ დროით სერიებს. ხმაურის არსებობის პირობებში მიღებულია შემდეგი კრიტერიუმის გამოყენება:

$$\frac{R_n(d+1)}{R_A} \geq 2, \quad (2.5)$$

სადაც $R_A^2 = \frac{1}{N} \sum_{n=1}^N (s_n - s_{av})^2$, აქ $s_{av} = \frac{1}{N} \sum_{n=1}^N s_n$, დროითი სერიების ანათვლების

(ფაქტიურად ვექტორის კოორდინატების) საშუალოა, ხოლო R_A ატრაქტორის ზომაა (იგულისხმება ხაზოვანი ზომა და არა განზომილება), რომელიც არ შეიცვლება ჩაშენების სივრცის გაზრდით.

უნდა აღინიშნოს, რომ არსებობენ ჩაშენების სივრცის განზომილების დადგენის სხვა მეთოდებიც მაგ., შევსების ფაქტორის მეთოდი, მაგრამ გამოყენებითი თვალსაზრისით ისინი საკმაოდ მოუხერხებელნი არიან და ძირითადად ხმაურისაგან თავისუფალი მოდელური დროითი სერიებისათვის არიან გათვალისწინებული. ასე რომ, ყველაზე ფართოდ სწორედ ზემოთ განხილული მეთოდები გამოიყენებიან [48].

2.4 ფაზური პროტრეიტის რეკონსტრუირების მრავალცვლადიანი მეთოდი

ზემოთ თქმული შეეხებოდა ერთცვლადიან სკალარულ დროით სერიებს. შესასწავლი რთული პროცესების ფაზური პროტრეიტის რეკონსტრუირებისათვის ჩვენ აგრეთვე გამოვიყენეთ დინამიკის შესაბამისი გეომეტრიული სტრუქტურის წარმოდგენის მრავალცვლადიანი (მულტივარიატული) მეთოდი. ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ ფაზური პროტრეიტის ასაგებად საჭიროა უზრუნველყოფილი იქნეს ფაზურ სივრცეში ფაზური წერტილების აუცილებელი სიმკვრივე, რაც მონაცემთა პირველადი მასივის საკმაოდ (ზოგჯერ კი არარეალურად) დიდ სიგრძეს მოითხოვს [13, 49].

ზემოთ აღწერილი ერთგანზომილებიანი, სკალარული დროითი სერიიდან შეყვანების მეთოდით ფაზური სივრცის რეკონსტრუირება, ძირითადად მარტივი დაბალგანზომილებიანი პროცესებისთვისაა გათვალისწინებული. დაბალგანზომილებიანი ეწოდება დინამიკას, რომლის ფრაქტალური განზომილება 5-ს არ აღემატება, რაც, მცირე გამონაკლისის გარდა, ძირითადად მათემატიკურ მოდელებს ახასიათებს. მათემატიკური მოდელებისაგან განსხვავებით რეალური გაზომვების მასივის სიგრძე გასაგები მიზეზების გამო საკმაოდ შეზღუდულია. მეორე მხრივ, როგორც ირკვევა, რეალური ბუნებრივი პროცესების განზომილება ხშირად დაბალი განზომილების ზღვარზე ბევრად მაღალია და ზოგჯერ 10-ს აღემატება. ასეთი რთული პროცესების დინამიკის დახასიათებისათვის აუცილებელი სიგრძის რეალური დროითი სერიები, როგორც წესი, არ არსებობენ. ეს ზოგჯერ შეუძლებელს ხდის

დინამიკური პროცესების შესასწავლად ერთგანზომილებიანი დროითი სერიების გამოყენებას. აღნიშნული პრობლემა შეიძლება გადაწყდეს დინამიკური პროცესის ფაზური პორტრეტის რეკონსტრუირების მრავალცვლადიანი მეთოდის გამოყენებით.

ტაკენსის ერთი ცვლადის მონაცემთა სკალარული სერიით რეკონსტრუირების მეთოდისაგან განსხვავებით, მრავალცვლადიანი მეთოდის გამოყენებისას ჩაშენების განზომილება, m , წინასწარაა განსაზღვრული; იგი შეესაბამება არსებული შედარებით მოკლე მასივების რაოდენობას. ე.ი. იმდენ განზომილებიან სივრცეში შეიძლება მოხდეს რეკონსტრუირება, რამდენიც ცალკე აღებული მოკლე სერია გვაქვს.

ჩვენ გამოვიყენეთ მრავალცვლადიანი რეკონსტრუირების ორი ცნობილი ვარიანტი [49]:

1. მოკლე დროითი სერიების „გადაკერების“ გზით ერთი საკმარისი სიგრძის დროითი სერიის მიღება. ასეთ სერიას განიხილავენ ჩვეულებრივ ერთგანზომილებიან მონაცემთა მიმდევრობად და ფაზურ სივრცეს აგებენ ტაკენსის უკვე აღწერილი მიდგომის შესაბამისად. ფაქტიურად ამ გზით ხდება მრავალცვლადიანი მიდგომის ერთცვლადიანზე ხელოვნური დაყვანა. ეს მარტივი ხერხი საკმაოდ საიმედო შედეგებს იძლევა, რომლებიც მცირედ განსხვავდებიან სხვა მეთოდებით მიღებული შედეგებისაგან.

2. ყოველი მოკლე სერიის თითოეული მონაცემი განიხილება როგორც m - განზომილებიანი ფაზური სივრცის i -ური კოორდინატი. ან უფრო მარტივად, m - განზომილებიანი სივრცის ყოველ ღერძზე აიღება რომელიმე ერთი მოკლე სერიის მონაცემები, რაც საშუალებას იძლევა მივაღწიოთ მაღალი განზომილების ფაზურ სივრცეებში ფაზური წერტილების საკმარის სიმკვრივეს.

უნდა აღინიშნოს რომ მრავალცვლადიანი რეკონსტრუირების მეთოდით აგებული ფაზური პორტრეტი უფრო სრულად ასახავს შესასწავლი პროცესის დინამიკურ სტრუქტურას და ერთცვლადიან რეკონსტრუირებასთან ერთად ფართოდ გამოიყენება.

2.5 ლიაპუნოვის ექსპონენტის გამოთვლა

მაღალგანზომილებიანი რთული პროცესების რეკონსტრუირებულ ფაზურ სივრცეში ფაზური წერტილების ევოლუციის შესასწავლად გამოვიყენოთ ლიაპუნოვის მაქსიმალური ექსპონენტის, λ , გამოთვლის მეთოდი. მეთოდის ძირითადი იდეა მდგომარეობს რთული პროცესებისათვის დამაასიათებელი, საწყის პირობებზე ძლიერი დამოკიდებულებით გამოწვეული, ფაზური ტრაექტორიების სწრაფი დაშორიშორების რაოდენობრივ შეფასებაში [50, 51]. ზოგადად:

$$\lambda = \lim_{n \rightarrow \infty} \frac{1}{n} \sum_{i=1}^{n-1} \log |f'(x_i)|. \quad (2.6)$$

ამ გამოსახულებიდან კარგად ჩანს, რომ ლიაპუნოვის ექსპონენტა იძლევა მთელ ფაზურ სივრცეზე გასაშუალოებული ტრაექტორიების დაშორიშორების საშუალო სისწრაფეს იტერაციის (დროის) ერთეულში. მისი ერთეულია ბიტი/წმ ან ბიტი იტერაციის ერთეულზე.

უფრო ზოგადად, d -განზომილებიან ფაზურ სივრცეში რომელიმე დინამიკური სისტემის უახლოეს ტრაექტორიებს შორის $\vec{\xi}_{n+1} = F(\vec{\xi}_n)$ ტანგენციური ვექტორით მოცემული მანძილის ევოლუცია გაწვრივებული სახით ასე გამოისახება $\dot{\xi} = T(x(t))\xi$, სადაც $T = DF = \partial F / \partial x$ არის F -ის იაკობიანი. მისი ამოხსნები მოიცემა $\xi(t) = A' \xi(0)$ სახით. აქ A' არის წრფივი ოპერატორი, რომელიც ტანგენციურ ვექტორს $\vec{\xi}(0)$ -ს გარდაქმნის $\vec{\xi}(t)$ -ში. ტანგენციური ვექტორის დივერგენციის საშუალო ექსპონენციალური სიჩქარე განისაზღვრება, როგორც [23, 53]:

$$\lambda(x(0), \xi(0)) = \lim_{t \rightarrow \infty} \frac{1}{t} \ln \frac{\|\xi(t)\|}{\|\xi(0)\|}. \quad (2.7)$$

ამის შემდეგ $\vec{\xi}(0)$ -ის d -განზომილებიანი ბაზისური ვექტორების მნიშვნელობების მიხედვით გამოითვლება ლიაპუნოვის ექსპონენტების შესაბამისი მნიშვნელობები $\lambda_i(\vec{x}(0)) \equiv \lambda(\vec{x}(0), \vec{e}_i)$, რომლებიც ქმნიან განსახილავი დინამიკური პროცესის ლიაპუნოვის ექსპონენტების სპექტრს $\lambda_1 \geq \lambda_2 \geq \dots \geq \lambda_d$ [52].

რეალური პროცესების განხილვისას, როგორც წესი, უცნობია სისტემის აღმწერი არაწრფივ განტოლებათა სისტემები, ამდენად ლიაპუნოვის ექსპონენტების გამოთვლა აღწერილი გზით ვერ ხერხდება. ბოლო ათწლეულის განმავლობაში არაერთი მეთოდი იქნა შემუშავებული, რომელიც λ ექსპონენტების ექსპერიმენტული მონაცემების დროითი სერიიდან გამოთვლის საშუალებას იძლევა. ჩვენი ანალიზისათვის გამოვიყენეთ Wolf-ის მიერ შემუშავებული ალგორითმი [17, 53, 54].

თუ $\lambda < 0$ დროის განმავლობაში ხდება მეზობელი ტრაექტორიების ექსპონენციური დაახლოება ეს ნიშნავს, რომ სისტემას გააჩნია ატრაქტორი ფიქსირებული წერტილის სახით. თუ $\lambda = 0$, სისტემა ფაზურ სივრცეში სტაბილური ზღვრული ციკლისაქნ მისწრაფვის. დადებითი ლიაპუნოვის კოეფიციენტი ($0 < \lambda < \infty$) მიუთითებს იმაზე, რომ მეზობელი ფაზური ტრაექტორიები ექსპონენციურად შორდებიან ერთმანეთს. თუ $\lambda \rightarrow \infty$, საქმე გვაქვს ხმაურთან [12, 55].

ლიაპუნოვის ექსპონენტების საშუალებითაც შეიძლება გამოვვალოთ დროის ის T_p შუალედი, რომლისთვისაც დინამიკურად შედარებით მარტივი სისტემებისათვის პროგნოზირება შესაძლებელია,

$$T_p = \frac{1}{\lambda} \log\left(\frac{1}{l}\right), \quad (2.8)$$

სადაც l , საწყისი მდგომარეობის განსაზღვრის სიზუსტეა.

ფაზურ სივრცეში სისტემის ევოლუციის შესწავლა პროცესის დინამიკის შესახებ აუცილებელ, მაგრამ არასაკმარის ინფორმაციას გვაწვდის. ეს იმითაა განპირობებული, რომ ატრაქტორი გეომეტრიული სტრუქტურის სახით მოცემული პროცესის დინამიკაა და ამდენად მისი (დინამიკის) სრული დახასიათებისათვის აუცილებელია ფაზურ სივრცეში ფაზური წერტილების განაწილების სტატისტიკური თვისებების (გეომეტრიული განზომილების) შესწავლა.

ზოგადად, ატრაქტორის განზომილება წარმოდგენას გვიქმნის სისტემის აქტიური თავისუფლების ხარისხების შესახებ. ატრაქტორის განზომილების გამოთვლის მრავალი მეთოდი არსებობს, რომელთაგან ჩვენ ამ სადისერტაციო ნაშრომში ინფორმაციული და კორელაციური განზომილების გამოთვლის მეთოდები გამოვიყენეთ.

2.6 შენონის ენტროპია და ინფორმაციული განზომილება

თილერის მიერ მოდიფიცირებული ბალატონისა და რენის ინფორმაციული განზომილების კონცეფცია იმაში მდგომარეობს, რომ უნდა გაირკვეს, თუ რამდენი ნამდვილი რიცხვი, ან ინფორმაციის რამდენი ბი-ტია საჭირო, რათა ფაზური სივრცის წერტილის მდებარეობა საჭირო სიზუსტით აღიწეროს. მაგ., წრფის წერტილის მდებარეობა ერთი რიცხვით აღიწერება, სიბრტყისა - ორით, სამგანზომილებიანი სივრცის - სამით და ა. შ. ისევე როგორც ბოქსების დათვლის ალგორითმში ტევადობით განზომილების გამოთვლისას, აქაც გამოსაკვლევი ფაზური სივრცის წერტილების სიმრავლეს წიბოს r სიგრძის მქონე N კუბებით დაფარავენ. ზოგადად, d -განზომილებიან სივრცეში ერთეულოვანი d -განზომილებიანი ჰიპერკუბების მდებარეობის r -სიზუსტით დასახასიათებლად აუცილებელია ინფორმაციის $S(r) = -d \log_2(r)$ ბიტი. ამის გათვალისწინებით სიმრავლის ინფორმაციული განზომილება მოიცემა როგორც $\frac{S(r)}{\log_2 r}$, სადაც $S(r)$ ინფორმაციის ბიტების ის რაოდენობაა, რომელიც აუცილებელია, რათა d -განზომილების მქონე ფაზური სივრცის წერტილების მდებარეობა r სიზუსტით აღიწეროს. ზღვარში ეს სიდიდე ასეთ სახეს მიიღებს [56, 57]:

$$D_I = -\lim_{r \rightarrow 0} \frac{S(r)}{\log_2 r}. \quad (2.9)$$

ვთქვათ, N_0 არის ფაზურ სივრცეში ატრაქტორის წერტილების სიმრავლე, N_i არის ბოქსების საერთო, N , რაოდენობიდან თითოეულში მოხვედრილი წერტილების რაოდენობა (ცხადია, რომ $N_0 \neq N$), მაშინ $P_i = \frac{N_i}{N_0}$ არის ფაზური

წერტილის i ბოქსში აღმოჩენის ალბათობა და $\sum_{i=1}^N P_i = 1$. იმის გათვალისწინებით,

რომ შენონის ფორმულის თანახმად ინფორმაციული ენტროპია:

$$S(r) = -\sum_{i=1}^N P_i \log_2 P_i, \quad (2.10)$$

ფორმულის საბოლოო სახე ასეთია:

$$D_I = \lim_{r \rightarrow 0} \frac{\sum_i P_i \log_2 P_i}{\log_2 r}. \quad (2.11)$$

ატრაქტორზე ერთგვაროვნად განაწილებული წერტილების სიმრავლისათვის $D_I = D_B$. მართლაც, თუ წერტილები ფაზურ სივრცეში ერთგვაროვნადაა განლაგებული, $P_i = \frac{1}{N}$ და $S(r) = -\sum_{i=1}^N \frac{1}{N_i} \log_2 \frac{1}{N_i} = \log N_i$, აქედან გამომდინარე,

$$D_I = \lim_{r \rightarrow 0} \frac{\ln N_i}{\ln \frac{1}{r}} = D_B.$$

სხვა შემთხვევაში $D_I < D_B$. ზემოთხსენებული ინფორმაციული ენტროპია სისტემის პროგნოზირებადობას ახასიათებს. როცა წერტილის რომელიმე ბოქსში მოხვედრა თანაბარ ალბათურია, ე.ი. თუ $N_i = \frac{1}{N}$, ინფორმაციული ენტროპია მაქსიმალურია და სისტემა არაპროგნოზირებადია. თუკი ატრაქტორის ყველა წერტილი ერთ ბოქსშია თავმოყრილი, $I = 0$, და სისტემა მაქსიმალურად პროგნოზირებადია.

2.7 კორელაციური განზომილება

კორელაციური ინტეგრალის გამოთვლის ალგორითმი ემყარება ატრაქტორის ფიქსირებული ზომის სფეროებით დაფარვის იდეას. ალგორითმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ გამოითვლება ატრაქტორის თითოეული წერტილის ირგვლივ შემოხაზული r რადიუსის n -განზომილებიანი სფეროს შიგნით მოხვედრილი წერტილების $C(r)$ რაოდენობის დამოკიდებულება სფეროს რადიუსზე. ამ დამოკიდებულების პრაქტიკული გამოთვლებისათვის მოსახერხებელი სახე ასეთია:

$$C(r) = \frac{2}{N(N-1)} \sum_{i=1}^N \sum_{j=i+1}^N \Theta(r - \|x_i - x_j\|), \quad (2.12)$$

სადაც $\Theta(x)$ ჰევისაიდის ფუნქციაა, რომელიც ნულის ტოლია, როცა $x < 0$, და უდრის ერთს, როცა $x \geq 0$; $\|x_i - x_j\|$ არის $\vec{x}_i$ და $\vec{x}_j$ ვექტორებს შორის

მანძილის ევკლიდური ნორმა. საკმაოდ მცირე r რადიუსებისათვის და საკმარისად გრძელი დროითი სერიებისათვის სამართლიანია ხარისხობრივი დამოკიდებულება $C(r) \propto r^\nu$; r -ის მნიშვნელობის ზრდის კვალობაზე სფეროს შიგნით მოხვედრილი წერტილების რაოდენობა ზღვარს მიაღწევს და $C(r) \rightarrow 1$. მეორე მხრივ, სფეროს რადიუსის მეტისმეტად მცირე მნიშვნელობისათვის იმ წერტილების წყვილების რაოდენობა, რომელთა შორის მანძილები r -ზე ნაკლებია, ძალზე მცირეა, ამასთან თავს იჩენენ გაზომვის ცდომილებები. ასე რომ $C(r) \propto r^\nu$ დამოკიდებულება r -ის მხოლოდ შეზღუდულ დიაპაზონში სრულდება. ამ დიაპაზონს მასშტაბირების უბანს ან რეგიონს უწოდებენ. მისი შერჩევა საკმაოდ ძნელი საქმეა, რადგანაც რეალურად გაზომვის სიზუსტე უსასრულოდ მაღალი არ არის და $r \rightarrow 0$ პირობა ვერ შესრულდება.

კორელაციური განზომილება ν ან, როგორც მას ხშირად აღნიშნავენ, d_2 , ასე გამოითვლება:

$$\nu = d_2 = \lim_{r \rightarrow 0} \frac{\log C(r)}{\log(r)}. \quad (2.13)$$

პრაქტიკული მიზნებით გამოთვლებისას $i = j$ შემთხვევებს გამორიცხავენ.

ჩვენ ზემოთ უკვე შევეხეთ მონაცემების დროითი კორელაციების (დროში სიახლოვის) საკითხს პროცესის ფაზური პორტრეტის რეკონსტრუირებისა და დინამიკის თვისობრივი დახასიათების თვალსაზრისით. კორელაციური ინტეგრალის გამოთვლისას დროითი კორელაციების საკითხი კიდევ უფრო მწვავედ დგას, რადგანაც ისინი დინამიკური პროცესის განზომილების არასწორი რაოდენობრივი შეფასების მიზეზი შეიძლება გახდნენ.

პრაქტიკულად კორელაციური ინტეგრალის გამოთვლისათვის შემდეგ ფორმულას იყენებენ:

$$C(r) = \frac{2}{(N - n_{\min})(N - n_{\min} - 1)} \sum_{i=1}^N \sum_{j=i+n_{\min}}^N \Theta(r - \|x_i - x_j\|). \quad (2.14)$$

რეალურად d_2 გამოითვლება, როგორც $\log C(r) - \log r$ მრუდების დახრილობა, სხვადასხვა p განზომილების ფაზური სივრცეებისათვის; პროცესის კორელაციურ განზომილებად მიიჩნევენ d_2 - ის იმ მნიშვნელობას, რომელიც ფაზური სივრცის განზომილების შემდგომი ზრდის შედეგად აღარ იცვლება, ანუ ხდება მისი გაჯერება. შესაძლოა, ასეთ გაჯერებას ადგილი არც ჰქონდეს, მაშინ

პროცესის კორელაციური განზომილება უსასრულოდ დიდია, რაც დამახასიათებელია შემთხვევითი პროცესისათვის. ფაზური სივრცის იმ განზომილებას, რომლის შემდეგაც d_2 აღარ იცვლება, არის ატრაქტორის ჩაშენების სივრცის განზომილება.

ცხადია, რომ ატრაქტორის განზომილება ყოველთვის ნაკლები იქნება მისი სწორად შერჩეული ჩაშენების სივრცის განზომილებაზე. მიღებულია, რომ ჩაშენების სივრცის განზომილება შემდეგ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს: $d \geq 2d_2 + 1$, სადაც, d_2 ატრაქტორის განზომილებაა. კორელაციური განზომილება გამოითვლება $\log C(r) - \log r$ მრუდის მასშტაბირების წრფივი უბნისათვის [22, 56].

ბოლოს აღვნიშნოთ, რომ კორელაციური ინტეგრალი შეიძლება გამოვიყენოთ ფაზური სივრცის როგორც ერთ, ისე მრავალცვლადიანი რეკონსტრუირების პირობებში.

კორექტული არაწრფივი ანალიზი მონაცემთა მასივის მხოლოდ გარკვეულ სიგრძის პირობებშია შესაძლებელი. სადღეისოდ ცნობილი ყველაზე მკაცრი მოთხოვნის თანახმად დროითი სერიის სიგრძე, N და იმ ატრაქტორის განზომილება, d , რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს მოცემული სიგრძის დროითი სერიის საფუძველზე, შემდეგ თანაფარდობაში იმყოფებიან: $N \geq 42^d$ [12, 23].

ამ გამოსახულებაში ხარისხის მაჩვენებელი, d , ატრაქტორის ფრაქტალური განზომილება კი არ არის, არამედ მასზე მცირე პირველი მთელი რიცხვი. ეს მოთხოვნა იმდენად მძიმეა, რომ უმეტეს შემთხვევაში მისი შესრულება თითქმის შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ ესარგებლობდით უფრო მსუბუქი სამუშაო კრიტერიუმით, რომლის თანახმადაც $N \geq 10^{d/2}$ [23, 66].

2.8 განმასხვავებელი არაწრფივი სტატისტიკა და არაწრფივი სტრუქტურის ტესტირების მეთოდები

მაღალგანზომილებიანი რთული პროცესების არაწრფივი ანალიზის პროცესში ჩვენ გამოვიყენეთ არაწრფივი სტრუქტურის ტესტირების მეთოდები შემდეგი ორი ძირითადი მიზნის მისაღწევად:

ა) დინამიკურად რთული პროცესის დაბალი ფრაქტალური განზომილების შესახებ მცდარი დასკვნის თავიდან აცილება.

ეს იმით იყო განპირობებული, რომ ჩვენს მიერ შესწავლილი დროითი სერიები შეიცავენ ხმაურს და სასრული სიგრძე ჰქონდათ. ამდენად მაშინაც კი, როცა $\log C(r) - \log r$ მრუდებზე მასშტაბირების უბანი ცხადად იყო გამოკვეთილი, არ არსებობდა გარანტია, რომ განზომილების უცვლელობა (გაჯერება) ნამდვილად ატრაქტორის თვისებებმა განაპირობეს და არა სხვა ფაქტორებმა (მაგ., ხმაურმა).

ბ) სისტემების მდგომარეობების ერთმანეთისაგან გამორჩევა დინამიკური სირთულის მიხედვით.

როდესაც არ ხერხდება დინამიკური განზომილების რაოდენობრივი გამოთვლა (ადგილი არ აქვს პროცესის ფრაქტალური განზომილების გაჯერებას ჩაშენების განზომილების ზრდის კვალობაზე), შესწავლილი მაღალგანზომილებიანი პროცესების იდენტიფიკაციისათვის შესაძლებელია ცალკეული განზომილების ფაზური სივრცეებისათვის განსაზღვრული არაწრფივი მახასიათებლები გამოვიყენოთ განმასხვავებელი სტატისტიკის როლში [12, 58].

2.9 ნულ-ჰიპოთეზების იერარქია და განმასხვავებელი მეტრიკა

რთული დროითი სერიების ანალიზისას მათში აღმოჩენილი ყოველი სტრუქტურა არ არის აუცილებლად განპირობებული სისტემის დინამიკის არაწრფივობით. სწორედ ამიტომ აუცილებელია გაირკვეს დროითი სერიის დაკვირვებული

სტრუქტურა ნამდვილად სისტემის არაწრფივობის შედეგია თუ არა. ამისათვის ახდენენ ნულ-ჰიპოთეზების ტესტირებას იმის თაობაზე, შესაძლებელია თუ არა შესასწავლი დროითი სერიის მოდელირება ჩვენთვის ცნობილი რომელიმე ტიპის წრფივი პროცესით. ჩვეულებრივ ხდება იმის დადგენა შენარჩუნდება თუ არა ორიგინალური დროითი სერიის დადგენილი თვისებები (არაწრფივი მახასიათებლების გამოთვლილი მნიშვნელობები) მისი არაწრფივი სტრუქტურის ისეთნაირი დარღვევისას, რომ ძირითადი წრფივი მახასიათებლები უცვლელი დარჩენ. ეს მახასიათებლები შეიძლება იყვნენ: საშუალო, საშუალო კვადრატული გადახრა, განაწილების ფუნქცია, ფურიეს სპექტრი, ავტოკორელაციის ფუნქცია და ა.შ. აქედან გამომდინარე წარმოებს ე.წ. სუროგატული დროითი სერიების გენერირება, რომლებიც აღნიშნული მახასიათებლების მიხედვით ორიგინალური დროითი სერიისაგან არ განსხვავდებიან, სხვა მხრივ კი შემთხვევითი არიან [12, 13].

შენარჩუნებული მახასიათებლები სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვაა და, ცხადია, ერთი ნულ-ჰიპოთეზის ფარგლებში ყველაფრის გათვალისწინება არ ხერხდება. ამიტომ განიხილავენ ნულ-ჰიპოთეზების იერარქიას მათი თანდათანობითი გართულების გათვალისწინებით [47].

უმარტივესი ნულ-ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ განსახილავი დროითი სერია წარმოადგენს შემთხვევითად განაწილებული, ერთგვაროვანი, დამოუკიდებელი ცვლადების ერთობლიობას. ამ შემთხვევაში სუროგატული დროითი სერია გენერირდება სტანდარტული ფსევდოშემთხვევითი რიცხვების გენერატორით, რომელიც ნორმალიზებულია ორიგინალური სერიის საშუალო მნიშვნელობაზე და საშუალო კვადრატულ ცდომილებაზე. ამისათვის, როგორც წესი, ხდება ორიგინალური მასივის მონაცემების დროითი მიმდევრობის შემთხვევითი არევა. ამ შემთხვევაში შენარჩუნდება ორიგინალური მასივის ალბათობების განაწილების ფუნქცია [13].

წრფივი კორელირებული ხმაურის შემთხვევაში ნულ-ჰიპოთეზა იმაში მდგომარეობს, რომ დროითი სერიის სტრუქტურა განისაზღვრება მისი ავტოკორელაციის ფუნქციით ან, რაც იგივეა, ფურიეს სიმძლავრის სპექტრით.

ზემოთ განხილული წრფივი პროცესების დროით სერიებს შეიძლება ჰქონდეთ სასრული არაწრფივი მახასიათებლები, მაგ., ლიაპუნოვის ექსპონენტები და კორელაციური განზომილება, თუმცა ეს სრულებით არ ნიშნავს დეტერმინირებული ქაოსის არსებობას. ასე რომ, უცნობი დინამიკის შესახებ რაიმე დასკვნების

გაკეთებამდე უნდა შემოწმდეს, შესაძლებელია თუ არა მოცემული დროითი სერიის მოდელირება წრფივი პროცესით. სხვაგვარად, ზემოთ აღწერილი ნულ-ჰიპოთეზების საფუძველზე უნდა გაირკვეს, შესაძლებელია თუ არა დროითი სერიის არაწრფივი ანალიზის შედეგების ახსნა წრფივი მოდელის ფარგლებში.

შესაბამისი ტესტის ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ განმასხვავებელი სტატისტიკის როლში შერჩეული რაიმე M დამზერილი სიდიდის მიხედვით უნდა გაირკვეს, მართლაც წრფივია დროითი სერია თუ არა. ამისათვის თავდაპირველად უნდა შემოწმდეს M -ის რა მნიშვნელობას მივიღებდით წრფივი მოდელიდან. შეესაბამება თუ არა ორიგინალური დროითი სერიისა და წრფივი მოდელისათვის გამოთვლილი ეს სიდიდეები ერთმანეთს? თუ ასეთ შესაბამისობას ადგილი არა აქვს, დროითი სერია შესაძლოა არაწრფივი იყოს.

ცხადია, აღნიშნულ M სიდიდეს სტატისტიკურად განმასხვავებელი მეტრიკის შინაარსი ექნება. ხშირად ამ მიზნით კორელაციურ განზომილებას, d_2 , იყენებენ.

2.10 სუროგატული დროითი სერიები

ორიგინალური დროითი სერიის შესაბამისი (უფრო ზუსტად ზოგიერთი წრფივი, სტატისტიკური პარამეტრით მსგავსი) მოდელირებისათვის, როგორც წესი, იყენებენ სუროგატული მონაცემების სერიის გენერირების მეთოდს. მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ორიგინალური და სუროგატული სერიების შედარების გზით, გამოირიცხოს ნულ-ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ორიგინალური დროითი სერია გენერირებულია წრფივი სტოქასტური (შემთხვევითი) პროცესებით.

ამისათვის ხდება ხელოვნური შემთხვევითი დროითი სერიის გენერირება, რომელიც თავისი წრფივი თვისებებით ორიგინალურის მსგავსია. სუროგატული დროითი სერიების გენერირების რამდენიმე ხერხი არსებობს. მათგან ყველაზე გავრცელებულია ფაზით გაშემთხვევითებული (ფგ) და მასშტაბირებული ფაზით გაშემთხვევითებული (მფგ) სუროგატების გამოყენება.

ფგ-სუროგატულ სერიებს უნდა ჰქონდეთ იგივე წრფივი მახასიათებლები: ფურიეს სპექტრი და ავტოკორელაციის ფუნქცია, რაც ორიგინალურ (გამოსაკვლევ) სერიას. ეს მოთხოვნა მაშინ შესრულდება, თუ ორიგინალური და სუროგატული სერიის ფურიეს გარდაქმნას ერთნაირი ამპლიტუდები ექნებათ და მხოლოდ ფაზით იქნებიან განსხვავებული. ამისათვის ორიგინალური s_n დროითი სერიის სწრაფი ფურიეს გარდაქმნის, $s_k^f = \sum_{n=1}^N s_n e^{2\pi i n k / N}$, კომპლექსურ s_k^f წევრებს გაამრავლებენ შემთხვევით ფაზებზე: $s_k^{f'} = s_k^f e^{i\Phi_k}$, სადაც Φ_k იღებს შემთხვევით მნიშვნელობებს $[0, 2\pi]$ არეში. ამის შემდეგ გამოთვლიან ფურიეს შებრუნებულ გარდაქმნას: $s_n' = \sum_{k=1}^N s_k^{f'} e^{-i 2\pi n k / N}$. ამგვარად მიღებულ s_n' დროითი სერია წარმოადგენს შემთხვევითი რიცხვების სიმრავლეს ორიგინალური სერიის ანალოგიური სიმძლავრის სპექტრით. Φ_k -ფაზის რაიმე სხვა მნიშვნელობა ახალ სუროგატულ სერიას მოგვცემს.

მფგ, ანუ მასშტაბირებული შემთხვევითი ფაზების ტესტი, გულისხმობს სუროგატული სერიის სამ ეტაპად ფორმირებას. პირველ ეტაპზე წარმოებს შემთხვევითი რიცხვების მასივის რანგების მასშტაბირება (გადაწყობა) ორიგინალური მასივის რანგების შესაბამისად. მეორეზე, ხდება ამ შუალედური მასივის ფაზით გაშემთხვევითება უკვე აღწერილი ხერხით. მესამე ეტაპზე წარმოებს ორიგინალური მასივის რანგების მასშტაბირება ფაზით გაშემთხვევითებული მასივის რანგების მიხედვით.

მასშტაბირებული შემთხვევითი ფაზების სუროგატების მეშვეობით შესაძლებელია შემოწმდეს ნულ-ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ორიგინალური დროითი სერია გენერირებულია წრფივი სტოქასტური პროცესით, რომელიც შეიცავს მონოტონურ სტატიკურ (განსახილავი პროცესის დინამიკასთან კავშირის არქონე) არაწრფივობას [12].

როგორც ვხედავთ, ორივე მეთოდი ორიგინალური დროითი სერიის გაშემთხვევითების პრინციპს ეყრდნობა, მაგრამ მასშტაბირებული ფაზით გაშემთხვევითებული სუროგატების ტესტით ნულ-ჰიპოთეზის უარყოფის შემთხვევაში მეტი საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ ორიგინალურ მასივში არაწრფივი სტრუქტურის არსებობაში.

როგორც წესი, სუროგატების რაოდენობა რამოდენიმე ათეულიდან რამოდენიმე ასეულამდე აღწევს. იმის შესაფასებლად, თუ რამდენად არსებითია ორიგინალური და სუროგატული დროითი სერიების მახასიათებელი მეტრიკების (მაგ., კორელაციური განზომილებების, d_2) განსხვავება სხვადასხვა ხერხი გამოიყენება. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია კრიტერიუმი [59, 60]:

$$S = \left| \langle M_{\text{სუროგ}} \rangle - M_{\text{ორიგ}} \right| / \sigma_{\text{სუროგ}}, \quad (2.15)$$

სადაც $\sigma_{\text{სუროგ}}$ აღნიშნავს სუროგატული სერიის განმასხვავებელი მეტრიკის $M_{\text{სუროგ}}$ სტანდარტულ დევიაციას. S -სიდიდის სტანდარტული ცდომილება, ΔS , ასე გამოითვლება:

$$\Delta S = \sqrt{\frac{(1 + 0.5S^2)}{N}}, \quad (2.16)$$

სადაც N ანათვლების რიცხვია.

განსხვავების სარწმუნოების შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს: ყველაზე მსუბუქი მოთხოვნა $S > 2$ უზრუნველყოფს სარწმუნო განსხვავებას $p = 0.05$ დონეზე. ყველაზე მკაცრი მოთხოვნაა $S \geq 10$. როგორც წესი პრაქტიკული გამოთვლებისათვის განსხვავება სარწმუნოდ ითვლება თუ $S > 5$ [59, 61, 62, 63, 64].

განმასხვავებელი სტატისტიკის არსებობის საკითხის გასარკვევად აგრეთვე ხშირად გამოიყენებენ ვილკოქსონის ნიშნადი რანგების, არაპარამეტრულ ტესტს. ამისათვის ჩაშენების შესაბამისი განზომილებისათვის გამოითვლიან სხვაობებს ორიგინალური და სუროგატების მთელი სიმრავლისათვის გასაშუალოებულ მახასიათებელ სიდიდეებს წყვილებს შორის. შემდეგ მოახდენენ ამ სხვაობების მნიშვნელობების რანჟირებას ნიშნის მიუხედავად (ე.ი. დანომრავენ ზრდადობის მიხედვით მათი აბსოლუტური სიდიდის შესაბამისად). ამის შემდეგ დაითვლიან დადებითი (ან უარყოფითი) რანგების ჯამს. ვილკოქსონის ტესტის თანახმად, თუ ეს ჯამი მეტია რანგების საერთო ჯამისა და სპეციალურ ცხრილში მოყვანილი სტანდარტული მნიშვნელობის სხვაობაზე, ნულ-ჰიპოთეზა ორიგინალური და სუროგატული მასივების განაწილების ფუნქციების იგივეურობის შესახებ უარყოფილია არსებობის შესაბამის დონეზე [65].

ზოგჯერ გამოითვლიან ე.წ. მონტე-კარლოს ალბათობას, რომელიც ასე განისაზღვრება: $P_M = (M \leq M_{\text{ორიგ}} \text{ შემთხვევების რაოდენობა}) / (\text{შემთხვევების საერთო რაოდენობა})$. ეს მიდგომა განსაკუთრებით მაშინაა მოსახერხებელი, როცა სუროგატებისათვის გამოთვლილი M -ის მნიშვნელობა ნორმალურად არ არის განაწილებული. შედარებით იშვიათად გამოიყენებენ ბარნარდისა და ჰოპეს არაპარამეტრულ ტესტს, რომლის თანახმადაც შემოთხსენებული ნულ-ჰიპოთეზა, სარწმუნოების $p = 1/(N_{\text{სურ}} + 1)$ დონეზეა უარყოფილი, თუ ყველა სუროგატისთვის $M_{\text{ორიგ}} < M_{\text{სურ}} [59, 60]$.

2.11 რეკურენტული რაოდენობრივი ანალიზის მეთოდი (RQA)

შესასწავლ პროცესებში დინამიკური ცვლილებების გამოვსაკვლევად გამოვიყენოთ რეკურენტული რაოდენობრივი ანალიზის (RQA- Recurrence Quantitative Analysis) მეთოდი. RQA განსაკუთრებით სასარგებლოა იმისათვის, რომ გადაილახოს სიძნელებები, რომელსაც ხშირად ადგილი აქვთ, როდესაც საქმე გვაქვს არასტაციონარული და საკმაოდ მოკლე მონაცემების მასივთან. თავდაპირველად იგება ე. წ. რეკურენტული დიაგრამა (RP) განსაზღვრულია როგორც [68, 71]:

$$R_{i,j} = \Theta(\varepsilon_i - \|\bar{x}_i - \bar{x}_j\|). \quad (2.17)$$

აქ ε_i არის ე.წ. “მოჭრილი” დისტანცია, ხოლო $\Theta(x)$ არის ჰევისაიდის ფუნქცია. ε -ის სწორი შერჩევა არის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა რეკურენტული ანალიზისა. სასურველია ε იყოს რაც შეიძლება პატარა, მაგრამ ხმაურის არსებობა განაპირობებს მისი სასრული სიდიდის შერჩევას. ε შერჩევის რამოდენიმე გზა არსებობს. ჩვენ გამოკვლევაში ε -ის ზომად ავიღეთ ფაზური სივრცის მაქსიმალური ზომის 10% ან 20%. RQA როგორც რთული დინამიკური პროცესის ანალიზის მეთოდი საშუალებას იძლევა განისაზღვრავს რამოდენიმე მახასიათებელი სიდიდე. მათ შორის უმეტესობა ახასიათებს ფაზური სივრცის დიაგონალურ

სტრუქტურას, მაგ: რეკურენტობის პროცენტი $RR(t)$ და დეტერმინიზმის პროცენტი $DET(t)$. ისინი დაფუძნებულია ფაზური სივრცის დიაგნალური სტრუქტურის ხაზების ანალიზზე. რეკურენტობა – $RR(t)$ არის თანაფარდობა რეკურენტული წერტილების რაოდენობისა ყველა ფაზური წერტილის რაოდენობასთან. რეკურენტული წერტილების რაოდენობის თანაფარდობა, წერტილების იმ რაოდენობასთან რომლების ქმნიან დიაგნალურ სტრუქტურებს ეწოდება დეტერმინიზმი $DET(t)$. ამ მახასიათებლების მაღალი მნიშვნელობები მიუთითებენ რეგულარობის მაღალ ხარისხზე [67, 68, 69, 70, 71].

ამ თავში ჩამოთვლილი მეთოდების გარდა სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული იქნა ზოგიერთი დამატებით მეთოდი, რომელებიც მოკლედ იქნებიან განხილულნი მესამე თავში.

თავი III

შედეგების აღწერა და განსჯა


როული მაღალგანზომილებიანი დინამიკური სისტემების მაგალითები, როგორც აღვნიშნეთ, მრავალია: ატმოსფერული, სეისმური, ბიოლოგიური, სოციალური და ა. შ. ჩვენ ნაშრომში შევისწავლეთ ასეთ დინამიკურ სისტემებში მიმდინარე პროცესების რამდენიმე მაგალითი, მათ შორის, ზოგიერთი ტექნიკური და სეისმური პროცესი, აგრეთვე ლაბორატორიულ ექსპერიმენტში მიმდინარე პროცესები. ქვემოთ განვიხილავთ მათ ცალ-ცალკე.

3.1 მაღალგანზომილებიანი დინამიკური პროცესის მაგალითი ტექნიკურ სისტემებში

3.1.1 ჩუას წრედის აღწერა


დისერტაციაში განვიხილეთ ელექტრული წრედი (კერძოდ ჩუას წრედი), როგორც მაგალითი ტექნიკური სისტემისა, რომელშიც ადგილი აქვს მაღალგანზომილებიან დინამიკურ პროცესს.

ჩუას წრედი, როგორც როული დინამიკური სისტემის მოდელი, დაახლოებით 20 წლის წინათ შემოგვთავაზა ელექტრონული წრედების სპეციალისტმა ლ. ჩუამ. იგი წარმოადგენს მარტივ ელექტრონულ წრედს ერთი არაწრფივი ელემენტით. ამ წრედს აქვს სხვადასხვა ტიპის დინამიური ქცევის, მათ შორის, დაბალგანზომილებიანი ქაოსური პროცესის (რხევების) გენერირების უნარი. ჩუას ელექტრონული წრედის სქემა მოცემულია ნახაზზე 3.1. სწორედ ამ სქემის რეალიზაციის შედეგად მიღებულ მონაცემთა მასივის გამყენებას განვიხილავთ ქვემოთ [72, 73, 74].



ნახ. 3.1 ჩუას ელექტრონული წრედის სქემა

ეს წრედი შეიცავს არაწრფივ რეზისტორს – ჩუას დიოდს, რომლის ვოლტ-ამპერული მახასიათებელი გამოსახულია ნახ. 3.2



ნახ. 3. 2 ჩუას დიოდის ვოლტამპერული მახასიათებელი

ფორმულები, რომლებიც მართავენ წრედის დინამიკას შეიძლება ჩაიწეროს შემდეგი სახით:

$$\begin{aligned} C_1 \frac{dv_1}{dt} &= \frac{(v_2 - v_1)}{R} - i_d(v_1) \\ C_2 \frac{dv_2}{dt} &= \frac{(v_1 - v_2)}{R} + i_L \\ L \frac{di_L}{dt} &= -v_2 \end{aligned} \quad (3.1)$$

აქ v_i არის ძაბვა C_i კონდენსატორზე მოდებული, i_L არის ინდუქტორში გამავალი დენი. ჩუას დიოდში გამავალი დენი მოცემულია ფორმულით:

$$i_d(v_1) = \begin{cases} m_0 v_1 + B_p(m_0 - m_1) & v_1 < -B_p \\ m_1 v_1 & |v_1| \leq B_p \\ m_0 v_1 + B_p(m_1 - m_0) & v_1 > B_p \end{cases} \quad (3.2)$$


სადაც B_p , m_0 და m_1 არიან შესაბამისად წვევების წერტილები და წრფივი დახრები, რომლებიც ნაჩვენებია ნახ. 3. 2.

3.1.2 ჩუას წრედის რეალიზაციის შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავება


ჩუას წრედის რეალიზაცია პრაქტიკული თვალსაზრისით არცთუ ისე რთულია, თუმცა შესაბამისი ხარისხის მონაცემთა მასივის უზრუნველყოფა გარკვეულ სიძნელებებთან არის დაკავშირებული. საკითხს ართულებს ის, რომ პარამეტრების ყველა მნიშვნელობისათვის ამ პროცესის დინამიკური თვისებები ჯერ სრულად არ არის შესწავლილი. მაღალგანზომილებიანობის საკითხის გარკვევა მონაცემების ხარისხის მიმართ მოთხოვნას მკვეთრად ზრდის, ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ არსებული მაღალხარისხიანი მასივების გამოყენება.

ამდენად ჩვენ გამოვიყენეთ ჩუას წრედის სტანდარტული რეალიზაციის მონაცემთა მასივები, რომელიც მისაწვდომია ინტერნეტში შემდეგ მისამართზე: www.cpdee.ufmg.br/~MACSIN/services/data/data.htm (ბოლოს გადამოწმებულია 10.03.09). ეს იმითაც იყო გამართლებული, რომ ავტორებს არ განუხორციელებიათ აღნიშნულ დროით სერიებზე სრულფასოვანი დინამიკური კვლევა. ამდენად, ჩვენ დისერტაციაში ჩავატარეთ ჩუას სქემით გენერირებული დროითი სერიების კვლევა არაწრფივი დინამიკის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. ჩვენ ჩვენი მიზნებიდან გამომდინარე მონაცემთა მასივებიდან შევარჩიეთ და გამოვიყენეთ დროითი სერია, რომელიც ყველაზე ნაკლებად ხმაურიანი იყო. ავტორების მიერ ჩუას წრედის აპარატურული უზრუნველყოფის შედეგად მიღებულია რამდენიმე სერია. ჩვენ გამოვიყენეთ DSVC1.DAT სერია, რომელიც მიიღება წრედში კონდენსატორზე მოდებული ძაბვის ცვლილების გაზომვის შედეგად. იგი შეიცავს 5000 მონაცემს (იხ. ნახ. 3.3) და ჩუას წრედის აპარატურული რეალიზაციის შედეგად არის ათვლილი [75, 76].

ეს დროითი სერია DSVC1.DAT ღიაა და შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ინტერნეტ მისამართზე: www.cpdee.ufmg.br/~MACSIN/services/data/data.htm.



ნახ. 3.3 ჩუას წრედში კონდენსატორზე მოდებული ძაბვის ცვლილების დროითი სერია




ნახ. 3.4 ჩუას წრედში კონდენსატორზე მოდებული ძაბვის ცვლილების დროითი სერიის სიმძლავრის სპექტრი

ჩვენ ამ რეალური მასივისათვის გამოეთვალეთ სხვადასხვა წრფივი და არა-წრფივი მახასიათებლები, მაგალითად სიმძლავრის სპექტრი, ჰარსტის ექსპონენტა,

ლიაპუნოვის ექსპონენტა, მცდარი უახლოესი მეზობლების ანალიზი, კორელაციური განზომილება, ავადგენ რეკურენტული დიაგრამები და ჩავატარეთ რეკურენტული რაოდენობრივი ანალიზი (RQA). ყველა ეს მეთოდი დაწვრილებით აღწერილია დისერტაციის II თავში.


მცდარი უახლოესი მეზობლების ანალიზის, კორელაციური განზომილებისა და რეკურენტულ-რაოდენობრივი ანალიზისათვის ჩვენ გამოვიყენეთ პროგრამული პაკეტები: CDA Pro, AutoSignal და Visual Recurrence Analysis.

ჩუას წრედში კონდენსატორზე მოდებული ძაბვის ცვლილების დროითი სერიის ფაზური პორტრეტი წარმოდგენილია ნახ. 3.5




ნახ. 3.5 ძაბვის ცვლილების დროითი სერიის ორგანზომილებიანი ფაზური პორტრეტი

ჩუას წრედში ძაბვის ცვლილება თვისებრივი თვალსაზრისით დაბალგანზომილებიან პროცესს მოგვაგონებს, რაზედაც მიუთითებს მისი მსგავსება ლორენცის ატრაქტორთან.




ნახ. 3.6 ლორენცის ატრაქტორის ორგანზომილებიანი ფაზური პორტრეტი

ჩუას წრედში კონდენსატორზე მოდებული ძაბვის ცვლილების დროითი სერიის რეკურენტული დიაგრამა წარმოდგენილია ნახ. 3.7.




ნახ. 3.7 დროითი სერიის რეკურენტული დიაგრამა

იგივე DSV1.DAT დროით სერიაზე ჩავატარეთ აგრეთვე რეკურენტულ-რაოდენობრივი ანალიზი. შედეგი ნაჩვენებია ნახ. 3.8




ნახ. 3.8 ძაბვის ცვლილების დროითი სერიის R/S ანალიზის შედეგი

მცდარი უახლოესი მეზობლების ანალიზის და კორელაციური განზომილების შესაბამისი მრუდები მოცემულია ნახ. 3.9 და 3.10.



ნახ. 3.9 ჩუას წრედში კონდენსატორზე მოდებული ძაბვის ცვლილების მონაცემთა მასივის FNN რაოდენობის ცვლილება ჩაშენების განზომილების მიხედვით



ნახ. 3.10 ძაბვის ცვლილების მონაცემთა მასივის კორელაციური განზომილების ცვლილება ჩაშენების სივრცის განზომილების მიხედვით

ჩვენ მიერ ჩატარებული დინამიკური ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილ 1-ში.

ცხრილი 1. ჩუას წრედში კონდენსატორზე მოდებული ძაბვის ცვლილების მონაცემთა მასივის დინამიკური მახასიათებლები

ჰარსტის ექსპონენტი	0.72 ± 0.003
ლიაპუნოვის ექსპონენტი $\lambda_{\max}$	0.406 ± 0.031
კორელაციური განზომილება d_2	1.92 ± 0.733
ინფორმაციული განზომილება	5
რეკურენტობის პროცენტი (%REC)	0.037
დეტერმინიზმის პროცენტი (%DET)	48.028
ლამინარობის პროცენტი (%LAM)	0.05

დასკვნა

როგორც ზემოთ მოყვანილი შედეგები მოწმობს, განხილულ პირობებში ჩუას წრედში ძაბვის ცვლილების დინამიკა მაღალგანზომილებიანი არ არის. იგი კვაზიპერიოდულთან ახლოა და ხასიათდება პერსისტენტობის საკმაოდ მაღალი ხარისხით - არსებული ტრენდის მდგრადობით. ეს პროცესი გამოვლენილი რაოდენობრივი დინამიკური თავისებურებებით დაბალგანზომილებიანი დეტერმინირებული ქაოსის ტიპის პროცესებთანაა ახლო ($d_2=1.9<5$, $\lambda_{\max}>0$). ამავსე ადასტურებს მისი ტიპურ დაბალგანზომილებიან დეტერმინირებული სისტემასთან (ლორენცის სისტემასთან) თვისებრივი მსგავსებაც.

3.2 ბუნებრივ პროცესებში მაღალგანზომილებიანი რთული დინამიკის შესწავლა სეისმური პროცესის მაგალითზე

ცნობილია, რომ დედამიწას გარს აკრავს სხვადასხვა წარმოშობის, დიდი სიხშირული დიაპაზონის ცვალებადი ველები, რომელთა პერიოდი ვარირებს წამებიდან თვეებამდე და წლებამდე. რადგანაც ცვალებადი ველის წყარო არ არის სრულად იზოლირებული დედამიწისაგან, ის იწვევს დაძაბულობის/დეფორმაციის ველის ვარიაციას დედამიწის ქერქში, რაც გამოიხატება სუსტი გარეშე ძალის მიერ სეისმური მოვლენების სინქრონიზაციის ფენომენში. სუსტი ზეგავლენისადმი ამგვარი გრძნობიარობა გულისხმობს, რომ სისტემა ახლოსაა ე.წ. კრიტიკულ (თვითორგანიზებული კრიტიკულ- selforganized criticality) მდგომარეობასთან, სადაც სისტემის მდგრადობა შეიძლება ადვილად დაირღვეს. თანამედროვე წარმოდგენებით სეისმოაქტიურ რეგიონებში დედამიწის ქერქი მართლაც ახლოს არის კრიტიკულ მდგომარეობასთან, რაც შესაძლებელს ხდის სეისმურობის სინქრონიზაციას. ამგვარი ეფექ-

ტების ბუნება დღემდე არ არის დადგენილი. თანამედროვე არაწრფივი დინამიკის განვითარების დონე ამ უჩვეულო ეფექტების რაოდენობრივი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა [77].

სუსტი გარე ზეგავლენით პროცესების სინქრონიზაციის მოვლენებს ჩვენ ვხვდებით მრავალ დარგში, დაწყებული მექანიკიდან დამთავრებული ბიოლოგიური და სოციალური პროცესებით [78].

ვინაიდან დედამიწა განიცდის ძალზე ფართო დიაპაზონის (სეკუნდებიდან თვეებამდე და წლებამდე) პერიოდის მქონე გარეშე ცვალებადი ველების გავლენას, სავსებით ბუნებრივია, რომ სინქრონიზაციის ფენომენზე დაკვირვება მოხდება სხვადასხვა წარმოშობის მრავალ გეოფიზიკურ ველშიც. მაგალითად, არის მრავალი მონაცემი იმის შესახებ, რომ სეისმური აქტივობა გარკვეულად კორელირებულია ისეთ სუსტ ცვალებად გარეშე ველებთან, როგორიცაა დედამიწის მიმოქცევები, მზის აქტივობა, ატმოსფერული წნევა, ელექტრომაგნიტური შემფოთებები, სეზონური ცვლა და რეზერვუარების ექსპლუატაცია.

ზოგადად, სისტემა მგრძნობიარეა მცირე ზეგავლენისადმი, როდესაც იგი კრიტიკულ მდგომარეობასთანაა ახლოს. თეორიულად, თუ ხმაური უმნიშვნელოა, უსასრულოდ მცირე პერიოდულ ძალასაც კი შეუძლია აღძრას სინქრონიზაცია (სინქრონიზაციის მაჩვენებელი ე.წ. არნოლდის ენა – Arnold's tongue – იწვება გარეშე ზედდებული ძალის ნულოვან მნიშვნელობაზე) [78].

ამავე დროს, რეალურად, ბუნებრივ დინამიკურ სისტემებში ხმაური გარდაუვალია, რაც ნიშნავს, რომ პრაქტიკულად სინქრონიზაციის ეფექტის მიღება შესაძლოა მხოლოდ ზედდებული ძალის რაღაც ზღვრული მნიშვნელობის მიღწევის შემდეგ.

ბოლო წლებში მრავალი ნაშრომი მიეძღვნა სეისმურ აქტივობაზე სუსტი ცვალებადი ველების (დედამიწის მიმოქცევების, მზის აქტივობის და ა.შ.) გავლენის საკითხს. ეს კვლევები მოწმობენ, რომ, შესაძლოა, სუსტი კვაზიპერიოდული შემფოთებები აკონტროლებდნენ (სინქრონიზაციას ახდენდნენ) უზარმაზარი ტექტონიკური ძალებით მართულ ისეთ არარეგულარულ რელაქსაციურ პროცესს, როგორიცაა სეისმურობა. მართლაც, როგორც გამოკვლევები მოწმობენ, ზედდებული კვაზიპერიოდული რხევებით გამოწვეული დაძაბულობები (0.01-1 ბარი), როგორც წესი, გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მთავარი მამოძრავებელი ტექტონიკური დაძაბულობე-

ბი. მიუხედავად ამისა, საბოლოოდ, ამ მცირე ზემოქმედებას შეუძლია გამოიწვიოს სინქრონიზაციის ფენომენი (შეცვალოს ძლიერი და სუსტი მოვლენების რაოდენობის თანაფარდობა), ან სულ მცირე, მოახდინოს სისტემის დროითი ქცევის მოწესრიგება [78, 79, 80, 81, 82, 83].

ამავე დროს სადღეისოდ ამგვარი დაკვირვებები ყოველთვის არ არის საკმარისად გამყარებული მკაცრი შეფასებების პროცედურებით, რაც ხშირად განაპირობებს დასკვნების ხარისხობრივ, ზოგჯერ კი არასარწმუნო ხასიათს. ამრიგად, სეისმურობის სინქრონიზაციის საკითხი ერთ-ერთ მთავარ, ჯერ-ჯერობით გადაუჭრელ სამეცნიერო პრობლემად რჩება. ეს მნიშვნელოვანწილად იმითაცაა განპირობებული, რომ ზემოთ ხსენებული, სუსტი გარე ზემოქმედების გავლენით მძლავრი ენერგეტიკული პროცესების სინქრონიზაციის ეფექტი ტრადიციული წრფივი თეორიების ფარგლებში ვერ აიხსნება. მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არაცალსახობა აქ აშკარაა, რადგანაც მცირე ზეგავლენას ძალუძს პერიოდულ რეჟიმს მიუახლოვოს (გაზარდოს წესრიგის ხარისხი) ისეთი სისტემის დინამიკა, რომელსაც ამოძრავებს გაცილებით უფრო დიდი ძალა. მცირე ზემოქმედების მიმართ ამგვარი მაღალი გრძნობიარობა გულისხმობს, რომ საქმე გვაქვს ე.წ. მაღალგანზომილებიან არაწრფივ ურთიერთქმედებებთან.

3.2.1 ანთროპოგენული ზემოქმედების გავლენა სეისმური პროცესის დინამიკურ მახასიათებლებზე

სეისმური პროცესის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს მასთან დაკავშირებული დიდი რისკის გათვალისწინებით. ეს რისკი განსაკუთრებით დიდია სეისმურად აქტიურ იმ რეგიონებში, სადაც განლაგებულია დიდი კაშხლები და წყალსაცავები.

ზოგადად, კაშხლები წარმოადგენენ ადამიანის მიერ მთავორიან გარემოსა და ხეობებში ხელოვნურად შექმნილ ბარიერებს. მათი აგების მიზანია ხელოვნურ წყალსაცავებში წყლის დიდი რაოდენობის დაგროვება და კონტროლი. კაშხლები მნიშვნელოვანი ნაგებობებია, რომელთა დანიშნულებაა ელექტრობის გენერაცია, წყალდიდობების თავიდან აცილება, ირიგაცია, სასმელი წყლის მარაგის შექმნა და ა. შ. ამავე დროს პოტენციურად კაშხლები წარმოადგენენ დიდი ეკოლოგიური საშიშროების წყაროს: წყალსაცავებში აკუმულირებული წყლის უზარმაზარი მასები პოტენციური საშიშროებაა მოსახლეობის სიცოცხლისათვის, ეკონომიკისათვის, ინფრასტრუქტურისათვის და ა.შ. ამიტომ კაშხლების უსაფრთხო კონტროლი ძალზე მნიშვნელოვანი პრაქტიკული ამოცანაა [84, 85, 86, 87].


ბუნებრივ პროცესებში მაღალგანზომილებიანი რთული დინამიკის შესწავლის თვალსაზრისით, ჩვენი მიზანი იყო სუსტი (პერიოდული/იმპულსური) გარეშე ძალის ზედდების პირობებში, სეისმური/აკუსტიკური აქტიურობის სინქრონიზაციის ხარისხის კვლევა და რაოდენობრივი შეფასება (არათანაბარი ხახუნის აკუსტიკური ემისია განიხილება როგორც სეისმური პროცესის მოდელი იხ. 3.3-ში). როგორც აღინიშნა ამ ტიპის გამოკვლევები ხელს უწყობს ჩვენი ცოდნის გაფართოებას რთული ბუნებრივი პროცესის დინამიკის, მათ შორის, სეისმურობის შესახებ.

სადისერტაციო ნაშრომის ამ თავში განხილულია წყალსაცავის გავლენით განპირობებული ლოკალური სეისმური აქტივობის კონტროლის შესაძლებლობის საკითხი ენგურჰესის წყალსაცავში წყლის დონის პერიოდული ცვლილების ზეგავლენის მაგალითზე [88, 89, 99].

შესწავლილი იქნა ენგურის მაღლივი კაშხლის წყალსაცავში წყლის დონის ყოველდღიური ცვლილებისა და ლოკალური სეისმური ქსელის მეშვეობით ჩაწერილი მონაცემები. გამოთვლილ იქნა კაშხლის ირგვლივ დაახლოებით 90 კმ რადიუსში მიწისძვრათა ყოველთვიური სიხშირე.

3.2.2 განხილული მონაცემთა მასივები და ანალიზის მეთოდები


გამოკვლევისათვის გამოვიყენეთ ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე მაღალი – 272მ ენგურის მაღლივი კაშხლის ირგვლივ დაახლოებით 90 კმ რადიუსში მიწის-ძვრების ყოველდღიური რაოდენობის მონაცემები 1973-1995 წლებში. წყალსაცავში წყლის დონის ცვლილების მონაცემები შეგროვილი იყო ენგურის კაშხლის ტერიტორიის დატბორვიდან 1977 წ., 1987 წლიდან წყლის დონე პრაქტიკულად პერიოდულად იცვლებოდა (ნახ. 3.11 ა).




ნახ. 3.11 ა) ენგურის წყალსაცავში წყლის დონის ყოველდღიური ჩანაწერები 1975-1993 წლებში

ენგურის მაღალი კაშხლის გარშემო არეს ზომა, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს მგრძნობიარედ, იყო დაფუძნებული ენერგიის გამოთავისუფლების დაჩქარების კონცეფციაზე, სეისმურად კრიტიკულ რეგიონში. სახელდობრ, მინიმალური დახრილობის პარამეტრი C , ბენიოფის დაძაბულობა $E(t) = \sum_{i=1}^{N(t)} E_i(t)^{1/2}$ იყო გამოანგარიშებული. აქ E_i არის ენერგია i -ში. ენგურის მაღალი კაშხლის მდებარეობა იყო განხილული, როგორც დაშვებული ვერტიკალური ეპიცენტრი ძლიერი მიწისძვრისა. (დეტალურად ნახეთ [89], სადაც ნაჩვენებია, რომ ენგურის მაღალი კაშხლის ირგვლივ ფართობის რადიუსი, რომელიც მგრძნობიარეა კაშხლის გავლე-

ნაზე, არის დაახლოებით 90 კმ). ყოველდღიური მონაცემების პაკეტი, რომელიც ხდება მიწისძვრებისა და სეისმური მოვლენებით გამოყოფილი ენერგია ზემოთ მოცემული მაგნიტუდის ზღვარზე $m \geq 1,6$ ამ 90 კმ ფართობში 1973-1995 წლები-სათვის ნაჩვენებია ნახ. 3.11 ბ და გ-ზე. გარდა ამ ყოველდღიური მონაცემებისა შესწავლილი იქნა მაგნიტუდების თანმიმდევრობის დროითი სერიები და მიწისძვრებს შორის დროის ინტერვალების მიმდევრობები. ეს მონაცემებიც დროის იგივე პერიოდისათვის და ფართობისათვის იქნა აღებული [71, 89, 90].



ნახ. 3.11 ბ) მიწისძვრების ყოველდღიური რაოდენობა



ნახ. 3.11 გ) ნორმალიზებული ყოველდღიური გამონთავისუფლებული სეისმური ენერგია

სეისმური პროცესის მსგავსი ძლიერად არაწრფივი პროცესების შესწავლისას ტრადიციული მეთოდები საკმარისი აღარ არის და როგორც ზემოთ აღინიშნა, შესაბამისი მონაცემთა მასივების დამუშავებისას სპეციალური, ახლახანს შემუშავებული მიდგომების კორექტული გამოყენებაა აუცილებელი. მონაცემთა დროითი სერიების ბოლო წლებში შემუშავებული ეს ახალი მეთოდები საშუალებას გვაძლევს რაოდენობრივად შევაფასოთ სინქრონიზაციის ხარისხი ძირითად პროცესსა და ზედღებული ველის ფაზებს შორის. დისერტაციის II თავში აღწერილ მეთოდებთან ერთად გამოყენებული იქნება სინქრონიზაციის ხარისხის დახასიათების რაოდენობრივი ზომები, მაგ: ინფორმაციული, შენონის ენტროპია, ფაზების დიფუზიის გამოთვლა. გარდა ამისა დროით მწკრივებში სინქრონიზაციისა და მოწესრიგებულობის აღმოსაჩენად გამოვიყენებთ ფრაქტალური განზომილებისა და რეკურენტულ-რაოდენობრივი ანალიზის მეთოდებს [91, 92, 93].

3.2.3 შედეგების განხილვა

